ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N17

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 13.06.2018 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - *ალექსანდრე ლილუაშვილი.*

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი: – ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაიძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, ეთერი ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, თამთა დვალიშვილი, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი, თორნიკე ერისთავი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: რამაზ არველაძე, თამარ შენგელია, კობა ძაგნიძე, ბიჭიკო პაიკიძე, რობიზონ ფუტკარაძე, გელა ღვიტიძე, დავით კაკაბაძე.

(დანართი N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - **ლუიზა ჯოგლიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - **ლუბა გოგოძე.**

მოწვეული პირები:

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი -**ივანე მამფორია.**
მერიის ადმინისტრაციის და შესყიდვების სამსახურის უფროსი -**დავით გაბუნია**
მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი **ზვიად კაპანაძე.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14 საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1.,,ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. /ივანე მამფორია/

2.,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა,პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2018 წლის საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებით დამტკიცებულ მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

მომხს./დავით გაბუნია/

3.,,ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღლები და კატები) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესის დამტკიცების შესახებ"

მომხსენებელი: /გიორგი ივანიაძე/

4. ,,ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებათა თაობაზე"

მომხს./ზვიად კაპანაძე/

5. სხვადასხვა.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნი ის ცვლილებები ,რომელიც შედის ბიუჯეტში. კერძოდ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ასიგნებების

მოცულობა იზრდება 42 000 ლარით, მათ შორის შრომის ანაზღაურების მუხლი 30,000 ლარით, ხოლო სხვა ხარჯების მუხლი 12 000 ლარით.
2) მუნიციპალიტეტის მერიის ასიგნების მოცულობა საქონლისა და მომსახურების მუხლში მცირდება 13 500 ლარით.
3) სარეზერვო ფონდის მოცულობა იზრდება 20 000 ლარით.
4) სამხედრო სამსახურის დაფინანსება საქონლისა და მომსახურების მუხლში იზრდება 4500 ლარით.
5) გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯები ტენდერში წარმოშობილი ეკონომიის ხარჯზე მცირდება 56 000 ლარით.
6) სანიაღვრე-საწრეტი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია მცირდება 18 000 ლარით
7) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია მცირდება 9000 ლარით
8) ურბანული ტერიტორიის კეთილმოწყობის ასიგნებების მოცულობა სკვერების რეაბილიტაციის დასრულების მიზნით იზრდება 30 000 ლარით.
9) საბავშვო ბაღების გაერთიანების დაფინანსების მოცულობა იზრდება 40000 ლარით.
10) სარაგბო კლუბ აიეტის დაფინანსების მოცულობა იზრდება 10 000 ლარით.
11) სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების დაფინანსების მოცულობა იზრდება 10 000 ლარით.
12) სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის დაფინანსების მოცულობა იზრდება 10 000 ლარით.
13) კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრის დაფინანსების მოცულობა იზრდება 10 000 ლარით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს

მომხრე – 27

წინააღმდეგი – 1 თორნიკე ერისთავი

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილება ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(დანართი: დადგენილება N 114)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა დავით გაბუნიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა,პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2018 წლის საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებით დამტკიცებულ მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, და საქართველოს კანონის ,,ნორმატიული აქტების შესახებ" მე-20 მუხლის მეოთხე პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2018 წლის საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებით დამტკიცებულ მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურაში და ჩამოყალიბდეს დანართი N1-ის და დანართი N2-ის შესაბამისად. მომხსენებელმა მოკლედ განმარტა, რომ შესყიდვების სამსახური გადავიდა ადმინისტრაციულ სამსახურში, ამიტომ იურიდიული განყოფილება მოემსახურება მათ. იურისტი რომელიც მუშაობდა ამ განყოფილებაში დაინიშნა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ ერთეულის წარმომადგენლად ამაღლების თემში. ხოლო შტატი განისაზღვრა , როგორც შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 27

წინააღმდეგი – 1 თორნიკე ერისთავი

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილება ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2018 წლის საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებით დამტკიცებულ მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

(დანართი: დადგენილება N 115)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანაიძე[illegible] წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური[illegible] ცხოველების (ძაღლები და კატები) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესის[illegible] დამტკიცების შესახებ".

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივ[illegible] თვითმმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „რ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-[illegible] პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ[illegible] ქვეპუნქტის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს: დამტკიცდეს „ვანის[illegible] მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი ცხოველების (ძაღლები და კატები) მოვლა-პატრონობის[illegible] და მათი პოპულაციის მართვის წესი" და ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ვანის მუნიციპალიტეტის[illegible] ტერიტორიაზე ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის[illegible]

დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 აპრილის N20 დადგენილება.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 27

წინააღმდეგი – 1 თორნიკე ერისთავი

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღლები და კატები) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესის დამტკიცების შესახებ".

(დანართი: დადგენილება N 116)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებათა თაობაზე"

მომხსენებელმა წარმოადგინა საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხა.
1.1. ავტომანქანა მიცუბიში პაჯერო V6 GLZ, სახელმწიფო ნომრით OWO-991;
1.2. ავტომანქანა მერსედეს ბენცი C-230, სახელმწიფო ნომრით BXB-313;
1.3. ავტომანქანა ოპელ-ვექტრა, სახელმწიფო ნომრით OYO-549;
1.4. ავტომანქანა მერსედესი C-220, სახელმწიფო ნომრით XIX-678;
1.5. ავტომანქანა მიცუბიში მონტერო-სპორტი, სახელმწიფო ნომრით TTE-317;
1.6. ავტომანქანა მიცუბიში მონტერო, სახელმწიფო ნომრით TRT-282.
მუხლი 2. პირველი მუხლის 1. 1.1-6. ქვეპუნქტებით ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი ფასი განისაზღვროს შემდეგნაირად:
2.1. ავტომანქანა მიცუბიში პაჯერო V6 GLZ, სახელმწიფო ნომრით OWO-991 4500 (ოთხიათასხუთასი) ლარი;
2.2. ავტომანქანა მერსედეს ბენცი C-230, სახელმწიფო ნომრით BXB-313 800 (რვაასი) ლარი;
2.3. ავტომანქანა ოპელ-ვექტრა, სახელმწიფო ნომრით OYO-549 800 (რვაასი) ლარი;
2.4. ავტომანქანა მერსედესი C-220, სახელმწიფო ნომრით XIX-678 1000 (ათასი) ლარი;
2.5. ავტომანქანა მიცუბიში მონტერო-სპორტი, სახელმწიფო ნომრით TTE-317, 1500 (ათასხუთასი) ლარი;
2.6. ავტომანქანა მიცუბიში მონტერო, სახელმწიფო ნომრით TRT-282 4500 (ოთხიათასხუთასი) ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს ,,ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებათა თაობაზე"

მომხრე – 27

წინააღმდეგი – 1 თორნიკე ერისთავი

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებათა თაობაზე"

(დანართი განკარგულება N 27 47)

დღის წესრიგით წარმოდგენილ ,, სხვადასხვა"-ში საკითხები არ განხილულა.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე